

თამაზ დევიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

tazodevidze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტერმინოლოგია, ლიტურგიკა, მარხვანი, ტერმინ-თშემოქმედება.

ლიტურგიკული ტერმინოლოგია „მარხვანის“ ქართულ ხელნაწერებში

ქრისტიანული ეკლესიის ღვთისმსახურება, როგორც ღმერთთან ურთიერთობის საშუალება და გამოცდილება, სათავეს სახარებიდან იღებს. დიდ ხუთშაბათს, ებრაული პასექის აღსრულებისას, განკაცებულია უფალმა დააწესა ევქარისტიული მღვდელმოქმედება. ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის განმავლობაში ღვთისმსახურება თანდათან შეივსო, გაფართოვდა, გაიზარდა და მოწესრიგდა, შეიძინა ციკლური და განმეორებადი ხასიათი.

სასულიერო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ლიტურგიკული და ჰიმნოგრაფიული ტექსტების ქართულად თარგმნა, უპირველეს ყოვლისა, ღვთისმსახურებისათვის მისი აუცილებლობით იყო შეპირობებული. ეს პროცესი, ბუნებრივია, მოითხოვდა ტერმინოლოგიური ბაზის შექმნასა და დახვეწას.

დიდმარხვა ლიტურგიკული წელიწადის მნიშვნელოვანი მონაკვეთია. ამ პერიოდში საზოგადო ღვთისმსახურებაში კვირის ციკლის მსახურებები იკითხება „მარხვანიდან“. თავის მხრივ, „მარხვანი“ ნაწილია კრებულისა, რომელიც ცნობილია, როგორც „ტრიოდიონი“.

„ტრიოდიონი“ აერთიანებს ორ საღვთისმსახურო წიგნს: „მარხვანსა“ და „ხატიკს“, რომლებიც ადრე ერთ წიგნად იყო წარმოდგენილი და სახელწოდებაც საერთო ჰქონდათ: „ხუედრნი“ (გაბიაშვილი 2005).

„მარხვანის“ ქართული თარგმანები, რომლებიც სხვადასხვა საღვთისმეტყველო-სალიტერატურო სკოლაში შეიქმნა, კარგად წარმოაჩენს ქართული ლიტურგიკული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივ და მრავალფეროვან ისტორიას.

მიუხედავად იმისა, რომ „მარხვანი“ ჰიმნოგრაფიული კრებულია, მასში მოიპოვება ტიპიკონური მითითებანი, რომლებიც უაღრესად საინტერესოა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ლიტურგიკა

და ჰიმნოგრაფია მჭიდროდაა დაკავშირებული ერთანეთთან, შესაბამისად, ჰიმნოგრაფიულ ტექსტებთან ერთად „მარხვანი“ შეიცავს მითითებს ამა თუ იმ მსახურების შესრულების შესახებ.

ამჯერად განვიხილავთ „მარხვანის“ ორ ქართულ რედაქციაში (ვგულისხმობთ „მარხვანის“ გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის რედაქციებს¹) გამოვლენილ რამდენიმე ლიტურგიკულ ტერმინს. ამ ტერმინებს შევუდარებთ თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკაში დამკვიდრებულ ვარიანტებს, რომლებიც წარმოაჩენს ლიტურგიკული ტერმინთშემოქმედების პროცესის ზოგად ტენდენციას. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმსახურო პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ იმ ცვლილებებზე, რომლებიც ლიტურგიკულმა ტერმინოლოგიამ განიცადა. წარმოდგენილი მასალა მცირე ნაწილია იმ კომპლექსური სამუშაოს, რომელიც მომავალშია შესასრულებელი.

კვლევის ამ ეტაპზე გამოვიყენეთ ჯერ კიდევ შეუსწავლელი და გამოუცემელი ხელნაწერები: K-16, K-38 და K-79. ამათგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია K-79 ხელნაწერი, რომელიც ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული. როგორც ირკვევა, ხელნაწერი ძველი ვითარების ამსახველი უნდა იყოს. ანდერძის თანახმად, ტექსტი გიორგი მთაწმინდელის რედაქციისაა, მაგრამ, როგორც კვლევამ ცხადყო, მასში შეტანილია ყველა ის ცვლილება, რომლებიც ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის სახელებთანაა დაკავშირებული.

ქართული ლიტურგიკული ტერმინოლოგიის შესახებ საინტერესო მასალა დასტურდება კ. კეკელიძესთან, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში გამოსცა იერუსალიმური კანონარი (Кекелидзе 1912). აღსანიშნავია ენრიკო გაბიძაშვილის ნაშრომის „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლების“ V ტომი, რომელიც ლიტურგიკასა და ჰიმნოგრაფიას ეძღვნება. მაგალითად, აქ ვხვდებით მსჯელობას ტერმინ *ხუედრის* შესახებ (გაბიძაშვილი 2011).

● *მუჯლთა მოყრა*

ქართული საღვთისმსახურო წიგნები ძველბერძნულიდან ითარგმნა, შესაბამისად, ქართული ლიტურგიკული ტერმინოლოგია ჩამოყალიბდა ძველბერძნულ ტერმინთა საფუძველზე. გამომდინარე აქე-

1 ეფრემ მცირის სახელით ცნობილი რედაქცია, ძირითადად, ეყრდნობა გიორგი მთაწმინდელის რედაქციას. მოიცავს ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის მიერ ხელახლა თარგმნილ საგალობლებს (ხაჩიძე 2011).

დან, არცთუ იშვიათად ქართული შესატყვისის ნაცვლად მკვიდრდებოდა ძველბერძნული ვარიანტები მაგალითად, *Ακράθιστος* – *აკათისტო*. მსგავსი შემთხვევები ქართული საღვთისმსახურო პრაქტიკისათვის უცხო არ ყოფილა. საინტერესოა, რომ არცთუ ისე იშვიათად დასტურდება პარალელიზმი – გამოიყენება როგორც ბერძნული, ასევე, ქართული ვარიანტიც.

განვიხილოთ გავრცელებული ტერმინი *Μετάνοια* – *მეტანია*. *K-79* ხელნაწერში დასტურდება მისი ქართული შესატყვისი *მუხლოთა მოყრად*.

მაგ. „კირიელისონი მ, მუჯლოთა მოყრად იზ“ (K-79, 225r).

აღსანიშნავია, რომ ძველბერძნულ სიტყვას საინტერესო სემანტიკური დატვირთვა აქვს. ის აღნიშნავს სინანულს (Дворецкий 1958), რომლის გამოხატულებადაც შეიძლება ჩაითვალოს მუხლის მოდრეკა და შუბლით მიწაზე შეხება – ის, რაც დიდი მეტანიის სახელითაა ცნობილი.

თანამედროვე პრაქტიკაში ორივე ტერმინი გამოიყენება, თუმცა უფრო გავრცელებული დიდი *მეტანია* ჩანს.

„პირველშეწირულის ლიტურგიის ბოლოში, გუნდის მიერ საგალობლის – „იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ...“ 3-გზის გალობისას ტაძარში 3-გზის აღესრულება დიდი *მეტანია* (ეფრემ ასურის ლოცვის გარეშე), რის შემდეგაც საერთოდ შეწყდება დიდი *მეტანიები* სულთმოფენობამდე, გარდა *მეტანიებისა* გარდამოხსნის წინ“ (ლიტურგიკული კრებული 1996).

ზ. სარჯველაძესთან დასტურდება ამ სიტყვის განმარტება:

„მეტანია-ე – მიწაზე თავის დარტყმა (მონანიება) (სარჯველაძე 1997).

ფაქტია, აქცენტი გაკეთებულია ქმედებაზე, რომელიც გამოხატულებას სინანულისა. ამის დასტურია ფრჩხილებში მოცემული დაზუსტება. ეს ტერმინი რომ ძველ ქართულში ნაკლებად იყო გავრცელებული, დასტურდება იმით, რომ მას არ განმარტავს არც სულხან-საბა (ორბელიანი 1991), არც ი. აბულაძე (აბულაძე 1973).

ფაქტობრივად, გაქართულებულ *მუჯლოთა მოყრად*-ს ანაცვლებს უთარგმნელად გადმოტანილი *მეტანია*. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ *მუჯლოთა მოყრად* სრულყოფილად ვერ გადმოსცემს ძველბერძნული შესატყვისის შინაარსს და აქცენტი მხოლოდ მოქმედებაზეა გაკეთებული.

● შეგვწყალებს; მოგუმადლებს

„მარხვანის“ ქართულ რედაქციებში, ისევე როგორც, ზოგადად, საღვთისმსახურო წიგნებში, გამოიყოფა ტერმინთა საინტერესო ჯგუფი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ შემოკლების შედეგად მიღებული ტერმინები: *შეგვწყალენი; მოგუმადლენი*.

შეგვწყალენი არის გასუბსტანტივებული ფორმა ზმნისა – შეგვწყალენ, რომლითაც იწყება მრჩობლი კვერეჟის მესამე მუხლი (შეგვწყალენ ჩუენ, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, გვედრებით, ისმინე და შეგვწყალენ (სამღდელო კონდაკი 2007). მისი გაჩენა შეპირობებულია იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამ კვერეჟის პირველი და მეორე მუხლები არ იკითხება. თავის მხრივ, ამ ტერმინის გაჩენა კვერეჟის შემოკლებული ვარიანტის აღსანიშნად საინტერესოა, თუმცა კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ტექსტში იგი განსხვავებული ფორმითაც დასტურდება.

„და ითქმის კუჭრეჟსი *შეგვწყალენთა*“ [K-79, 212v].

გასუბსტანტივებული ზმნური ფორმა ნათესაობით ბრუნვაში დგას. -თა სუფიქსთან ერთად გამოიყოფა -ე, რომელიც სახელობითი ბრუნვის ფორმანტია და ამ მაგალითში მისი გაჩენა მსახლდრელ-სა-ზღვრულის პოსტპოზიციური წყობითაა შეპირობებული.

ტერმინი *მოგუმადლენი* აღნიშნავს თხოვნით კვერეჟს. ეს ტერმინიც ანალოგიურად, შემოკლების გზითაა მიღებული.

K-79 ხელნაწერში დასტურდება ასეთი შემთხვევა:

„კუჭრეჟსი: *მოგუმადლენთა*“ [K-79, 225r].

ტერმინი *მოგუმადლენი* ზუსტად იმავე ფორმით დასტურდება K-38 ხელნაწერშიც:

„ჰპოო ღამისთვად. კუჭრეჟსი *მოგუმადლენთა*“ [K-38, 987v].

თანამედროვე პრაქტიკაში ეს კვერეჟები გასხვავებული სახელწოდებებით დასტურდება: *მრჩობლი კვერეჟსი, თხოვნითი კვერეჟსი* (ლიტირგიკული კრებული 1996), ეს ტერმინები კვერეჟსთა შინაარსის შესაბამისია.

● *ხუედრნი*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინი *ხუედრნი* გაანალიზებულია ე. გაბიძაშვილთან. „მარხვანის“ ხელნაწერებში ეს ტერმინი სხვა, უფრო ვიწრო, მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს სამსაგალობელს.

ეს ორი წიგნი XI ს-მდე გაერთიანებული იყო ერთ წიგნში, რომელსაც „ხუედრნი“ ეწოდებოდა. ზატკის გამოყოფის შემდეგ „ხუ-

ედრნი” დარჩა „მარხუანის“ ერთ-ერთი ჯგუფის საგალობლების (სამსაგალობელი) აღმნიშვნელ ტერმინად“ (გაბიძაშვილი 2011).

ხუედრნის პარალელურად K-79 ხელნაწერში დასტურდება ტერმინი *სამფსალმუნი*.

„*სამფსალმუნი* წმიდისა დიდისა პარასკევისნი. გალობაჲ ე.“ [K-79: 213r]

პარალელურად დასტურება ტერმინი *ხუედრნი*.

„მასვე დღესა სხუანი *ხუედრნი*“ [K-79: 98r].

სამფსალმუნი თხზული ტერმინია, რომლის მეორე კომპონენტი ძველბერძნულიდან უთარგმნელადაა გადმოტანილი. ძველბერძნულში სიტყვის Ψάλλα ერთ-ერთი მნიშვნელობაა გალობა, დაკვრა (Дворецкий 1958).

1901 წელს გამოცემულ „მარხვანში“ დასტურდება ტერმინი სამსაგალობელი:

„და მეყუსეულად ვგალობთ *სამსაგალობელსა*“ (*მარხვანი*, 1901: 229).

ტენდენცია ამ შემთხვევაშიც იკვეთება – *ხუედრნი*, როგორც სამსაგალობლის აღმნიშვნელი ტერმინი, „მარხვანის“ ეფრემ მცირის რედაქციაში უკვე აღარ გამოიყენება. მოგვიანებით ტერმინი *სამფსალმუნი* იცვლება და მკვიდრდება *სამსაგალობელი*, რომელიც დღესაც გამოიყენება.

● *განახლება*

დიდმარხვის სადაგ დღეებში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთ დღეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების დღესასწაული დაემთხვევა, წირვა არ ტარდება. დიდმარხვაში, ოთხშაბათსა და პარასკევს, აღესრულება პირველშეწირულის ლიტურგია. პირველშეწირულის ლიტურგიაზე აღესრულება უკვე აღვლენილ წირვაზე შერიწული მსხვერპლით მორწმუნეთა ზიარება.

პირველშეწირულის ლიტურგიის აღსანიშნად ძველ ქართულში გამოიყენებოდა ტერმინები: *სიწმინდის განახლება*, *განახლება*.

„სახარებაჲ მათესი, ვითარცა არს შეწყობილი ყოველთა თავთაგან. მას ჟამსა შინა ზრახვაყვეს, ვიდრე საფლავსა მას, და განგებაჲ *განახლებისა*“ [K-79, 225r].

იმავე გვერდზე ტერმინი განახლება კიდევ ერთხელ დასტურდება:

„ხოლო ჩუენ ვყოფთ განახლებასა, გარნა არცა წმიდაო ღმერთო ითქმის, არცა ნათელი ქრისტესი, არცა წარენართე“ [K-79, 225r].

ტერმინი განახლება პირველშეწირულის ლიტურგიასთან მიმართებით დასტურდება ავსტრიაში, გრაცის უნივერსიტეტში, დაცულ ქართულ ხელნაწერში №2058/4, რომელიც ვ. იმნაიშვილმა გამოსცა:

„*წესი განახლებისა*. რაჟამს მღვდელი სიწმიდეს განახლებდეს, ყოველი წესი სამწუხროდ *აღსრულონ*“ (იმნაიშვილი 2004).

იმავე ტერმინს ვხვდებით 1711 წელს დაბეჭდილ კონდაკშიც.

„საღმრთო წირვა *სიწმინდის განახლებისა* წმიდისა მამისა ჩვენისა დიდისა გრიგოლისა“ (კონდაკი 1711).

როგორც ჩანს, *სიწმინდის განახლებას* თანდათან ჩაენაცვლა ტერმინი *პირველშეწირული ლიტურგია*.

„საღმრთო მსახურება პირველ შეწირულისა“ (სამღვდლო კონდაკი 2007).

განახლება, როგორც ტერმინი, რომელიც მანამდე შეწირული უსისხლო მსხვერპლით მორწმუნეთა ზიარებას გულისხმობს, ცოტა არ იყოს, მოუხერხებელი იყო, რადგან განკაცებული უფლის სისხლისა და ხორცის მიმართ *განახლების* გამოყენება ვერ იტევს იმ საღვთისმეტყველო შინაარსს, რომელიც ევქარისტის საიდუმლოს გააჩნია. ვფიქრობთ, ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ეს ტერმინი აღარ გამოიყენება. პირველშეწირული კი შედარებით ზუსტია და მოწმობს, რომ უსისხლო მსხვერპლი, რომლითაც მორწმუნეები ეზიარებიან, მანამდეა შეწირული.

საინტერესოა, „მარხვანის“ მთარგმნელ-რედაქტორთა დამოკიდებულება ჩვენ მიერ განხილული ტერმინების მიმართ წმინდა წერილის იმ ციტატებში, რომლებიც ტიპიკონურ მითითებებში დასტურდება. ამჯერად განვხილიათ ვნების შვიდეულის, კონკრეტულად დიდი ხუთშაბათისა და დიდი პარასკევის მსახურებებში დადასტურებულ ერთ მუხლს მარკოზის სახარებიდან. ამ დღეებში ეკლესიაში განსაკუთრებული მსახურებები აღესრულება, რომლებიც დატვირთულია როგორც ძველი, ისე ახალი აღქმის საკითხავებით.

როცა არაბიბლიურ ტექსტთან გვაქვს საქმე, წმინდა წერილის ციტატები შეიძლება იყოს მოცემული არსებულ რედაქციათაგან ან ხელახლა იყოს თარგმნილი. როგორც წესი, ასეთი ციტატები, უმეტესწილად, მოცემულია დასაწყისების სახით, რამდენიმე სიტყვით.

მაგალითად, დიდი პარასკევის მწუხრის განგებაში, როცა იკითხება ვნების 12 სახარება, მთარგმნელი არ ეყრდნობა არსებულ ტრადიციას და გვთავაზობს მუხლის ახალ თარგმანს.

დიდი პარასკევის ცისკრის მეექვსე სახარება (მარკოზისაგან) იწყება სიტყვებით:

„მას ჟამსა შინა *მკედართა* მათ შეიპყრეს...“ (K-79, 221v).

ანალოგიური ვითარებაა დიდი პარასკევის მესამე ჟამნის სახარებაში:

„მას ჟამსა შინა *მკედართა* მათ წარიყვანეს...“ (K-79, 224r).

ძველბერძნულ ვერსიებში დამოწმებული მუხლი იკითხება ამგვარად:

„Οἱ δὲ στρατιῶται ἀπῆγαγον αὐτὸν ἔσω τῆς αὐλῆς“ (Mark. 15:16)

საინტერესოა, რომ ამ მუხლში, ყველა ქართული რედაქციის მიხედვით, ძველბერძნული სიტყვა „στρατιῶται“, გადმოტანილია უთარგმნელად – „სტრატოტა“:

„ხოლო სტრატოტა მათ შეიყვანეს იგი შინაგან ეზოსა მას, რომელ არს ტაძარი, და შეკრიბეს ყოველივე იგი თესლები“ (მარკ. 15:16 CDEFGHIK).

ცხადია, მთარგმნელი არ ითვალისწინებს წმინდა წერილის ქართულ ენაზე თარგმნის არსებულ ტრადიციას. ეს ფაქტი, ბუნებრივია, ტერმინთშემოქმედების პროცესზე გვიქმნის წარმოდგენას და კიდევ ერთხელ ადასტურებს შედარებით თავისუფალ დამოკიდებულებას ცალკეულ ტერმინთა გამოყენებისას. ამიტაც უნდა აიხსნას ის პარალელიზმი, რომელიც K-79 ხელნაწერში არაერთგზის დასტურდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

ლიტურგიკული ტერმინების თარგმნისას „მარხვანის“ ჩვენ მიერ განხილულ ქართულ ხელნაწერებში ერთგვარი თავისუფლება შეინიშნება. ამას ცხადყოფს მთარგმნელის დამოკიდებულება წმინდა წერილის მუხლებისადმი, რომლებიც ახლიდან ითარგმნება და განსხვავდება არსებული რედაქციების იკითხვისთაგან.

ბევრი ისეთი ტერმინი, რომლებიც დღეს ტრანსლიტირებული (უთარგმნელი) ვარიანტითაა დამკვიდრებული, გაქართულებული იყო.

ტერმინთა შეცვლა ისტორიულ დინამიკაში იჩენს თავს, წარმოაჩენს თაობათა ღვაწლს, რომელიც მიზანიც, ბუნებრივია, ქართული ლიტურგიკული ტერმინოლოგიის დახვეწა და სრულყოფა იყო.

ლიტერატურა

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის №16 ხელნაწერი.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის №38 ხელნაწერი.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის №79 ხელნაწერი.

აბულაძე 1973 – აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

გაბიძაშვილი 2011 – გაბიძაშვილი ენრიკო, ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები 5, თბილისი.

იმნაიშვილი 2004 – იმნაიშვილი ვახტანგ, უძველესი ქართული ხელნაწერები ავსტრიაში, თბილისი.

იმნაიშვილი 1979 – იმნაიშვილი ივანე, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბილისი.

კონდაკი 1711 – კონდაკი, ტფილისი.

ლიტურგიკული კრებული 1996 – ლიტურგიკული კრებული №2, გამოსაცემად მოამზადეს თბილისის სასულიერო სემინარიის ლიტურგიკის პედაგოგმა, სიონის საკათედრო ტაძრის მედავითნემ ბიძინა გუნიაშვილმა; სიონის კათედრის მედავითნემ ირინა გუნიაშვილმა, თბილისი.

ორბელიანი 1991 – ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, I თბილისი.

სამლდელო კონდაკი 2007 – სამლდელო კონდაკი, თბილისი

სარჯველაძე 1997 – სარჯველაძე ზურაბ, ძველი ქართული ენა, თბილისი.

შანიძე 1945 – შანიძე აკაკი, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბილისი.

ხაჩიძე 2011 – ხაჩიძე ლელა, ეფრემ მცირე და ქართული ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ტრადიცია, ქრისტიანობის კვლევები VI, თბილისი 197-207.

Aland... 1993 – Aland..., The Greek New Testament, Stuttgart.

Дворецкий 1958 – Иосиф Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, Т. I-II, Москва.

Кекелидзе 1912 – Иерусалимский канонар VII века. Тифлис: Издание архиманд. Назарія.

Tamaz Devidze

Akaki Tsereteli State University, Georgia

tazodevidze@gmail.com

Keywords: Terminology, Liturgy, 'Markhvani', Term Creation.

Liturgical Terminology in the Georgian Manuscripts of Lenten Triodion

Summary

The translation of religious literature into Georgian has a long history. This process outlines the stages of Typicon development. The Georgian translations of the Lenten Triodion, which were created in different theological and literary schools, provide us with interesting terminological material and present the long history of the development of Georgian liturgical terminology.

Our goal is to describe and analyze the liturgical terminology revealed in the Georgian editions of the Lenten Triodion, to compare it with modern liturgical practice, and to determine the general tendency of the process of liturgical terminology creation. The basis for this is provided by the material that is still unexplored and unpublished, such as manuscripts K-79, K-16 and K-38.

Georgian liturgical books were translated from ancient Greek, accordingly, Georgian liturgical terminology was formed on the basis of ancient Greek terms. Therefore, not infrequently, instead of the Georgian equivalent, the ancient Greek variants were used. Parallelism is often confirmed - both Greek and Georgian variants are used.

In the Georgian editions of the Lenten Triodion, as well as in the liturgical books in general, an interesting group of terms is distinguished. For example, *შეგჳწყალენი*; *ყოვლად წმიდისა...* For example, *შეგჳწყალენი* is the substantive form of the third verse of the litany of fervent supplication. Its use is due to the fact that in some cases, the first and second verses of this litany are not read.

In typiconic instructions, the Bible verses are for the most part given as beginnings, with a few words. In such cases, the attitude of the translator-editor towards the tradition of translating the books of the Bible is interesting. In the Good Friday Vesper, when the 12 Gospels of the Passion are read, the translator does not rely on the previous editions and offers a new translation. This circumstance, naturally, gives us an idea about the process of term creation.